

თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №9
2022 წლის 30 მაისი

დაბა თიანეთი

„თიანეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „თიანეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თიანეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის №26 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 28/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.154.016459) დამტკიცებულ დანართში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 1. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
I. შემოსავლები	10803,7	10396,9	3248,4	7148,5	12078,3	4106,8	7971,5
გადასახადები	4817,0	6496,0	0,0	6496,0	7470,5	0,0	7470,5
გრანტები	5569,4	3383,4	3248,4	135,0	4256,8	4106,8	150,0
სხვა შემოსავლები	417,3	517,5	0,0	517,5	351,0	0,0	351,0
II. ხარჯები	5072,2	5557,2	330,4	5226,8	8968,9	657,1	8311,8
შრომის ანაზღაურება	1227,6	1196,6	0,0	1196,6	2290,2	0,0	2290,2
საქონელი და მომსახურება	965,7	1124,4	330,4	794,0	1890,5	425,5	1465,0



პროცენტი	26,2	20,9	0,0	20,9	26,2	0,0	26,2
სუბსიდიები	2358,3	2819,2	0,0	2819,2	3516,0	0,0	3516,0
გრანტები	19,5	16,0	0,0	16,0	316,0	0,0	316,0
სოციალური უზრუნველყოფა	311,6	259,3	0,0	259,3	537,1	0,0	537,1
სხვა ხარჯები	163,4	120,8	0,0	120,8	392,9	231,6	161,4
III.საოპერაციო საღდო	5731,5	4839,7	2918,0	1921,7	3109,4	3449,7	-340,3
IV.არაფინანსური აქტივების ცვლილება	5780,4	2626,2	2579,9	46,3	7868,8	5368,1	2500,6
ზრდა	5791,2	2943,9	2579,9	364,0	7873,8	5368,1	2505,6
კლება	10,8	317,7	0,0	317,7	5,0	0,0	5,0
V.მთლიანი საღდო	-48,9	2213,5	338,1	1875,4	-4759,3	-1918,4	-2840,9
VI.ფინანსური აქტივების ცვლილება	-89,1	2173,0	338,1	1834,9	-4799,8	-1918,4	-2881,4
ზრდა	63,8	2173,0	338,1	1834,9	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	63,8	2173,0	338,1	1834,9	0,0	0,0	0,0
კლება	152,9	0,0	0,0	0,0	4799,8	1918,4	2881,4
ვალუტა და დეპოზიტები	152,9	0,0	0,0	0,0	4799,8	1918,4	2881,4
VII.ვალდებულებების ცვლილება	-40,5	-40,5	0,0	-40,5	-40,5	0,0	-40,5
კლება	40,5	40,5	0,0	40,5	40,5	0,0	40,5
საშინაო	40,5	40,5	0,0	40,5	40,5	0,0	40,5
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „მუხლი 2. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი		2022 წლის გეგმა			
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან	საბიუჯეტო სახსრები		სხვა დონის ბიუჯეტიდან	საბიუჯეტო სახსრები



			გამოყოფილი სახსრები	ფონდების გარეშე		გამოყოფილი სახსრები	ფონდების გარეშე
შემოსულობები	10814,6	10714,6	3248,4	7466,2	12083,3	4106,8	7976,5
შემოსავლები	10803,8	10396,9	3248,4	7148,5	12078,3	4106,8	7971,5
არაფინანსური აქტივების კლება	10,8	317,7	0,0	317,7	5,0	0,0	5,0
გადასახდელები	10903,8	8541,6	2910,3	5631,3	16883,2	6025,2	10857,9
ხარჯები	5072,0	5557,2	330,4	5226,8	8968,9	657,1	8311,8
არაფინანსური აქტივების ზრდა	5791,3	2943,9	2579,9	364,0	7873,8	5368,1	2505,6
ვალდებულებების კლება	40,5	40,5	0,0	40,5	40,5	0,0	40,5
ნაშთის ცვლილება	-89,1	2173,0	338,1	1834,9	-4799,8	-1918,4	-2881,4

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 3. თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 12078,3 ათასი ლარის ოდენობით.

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2020 წლის ფაქტი		2021 წლის ფაქტი		2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
შემოსავლები	10803,7	10396,9	3248,4	7148,5	12078,3	4106,8	7971,5
გადასახადები	4817,0	6496,0	0,0	6496,0	7470,5	0,0	7470,5
გრანტები	5 569,4	3383,4	3248,4	135,0	4256,8	4106,8	150,0
სხვა შემოსავლები	417,3	517,5	0,0	517,5	351,0	0,0	351,0

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 4256,8 ათასი ლარის ოდენობით

(თანხა ათას ლარებში)



დასახელება	კოდი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
გრანტები	13	5569,5	3383,4	3248,4	135,0	4256,8	4106,8	150,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (მ/შ)	131	66,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კაპიტალური		66,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები		5503,5	3383,4	3248,4	135,0	4256,8	4106,8	150,0
მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	133	229,1	255,8	120,8	135,0	275,5	125,5	150,0
მიზნობრივი ტრანსფერი		229,1	255,8	120,8	135,0	275,5	125,5	150,0
კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან		5274,4	3127,6	3127,6	0,0	3981,2	3981,2	0,0
კაპიტალური ტრანსფერი (მ/შ)		5274,4	3127,6	3127,6	0,0	3841,2	3841,2	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა		5274,4	3127,6	3127,6	0,0	3330,4	3330,4	0,0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხა		0,0	0,0	0,0	0,0	510,9	510,9	0,0
სპეციალური ტრანსფერი (მ/შ)		0,0	0,0	0,0	0,0	140,0	140,0	0,0
საქართველოს								



რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხა	0,0	0,0	0,0	0,0	140,0	140,0	0,0
---	-----	-----	-----	-----	-------	-------	-----

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 8968,9 ათასი ლარის ოდენობით

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2020 წლის ფაქტი		2021 წლის ფაქტი		2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
ხარჯები	5 072,0	5557,2	330,4	5226,8	8968,9	657,1	8311,8
შრომის ანაზღაურება	1 227,6	1196,6	0,0	1196,6	2290,2	0,0	2290,2
საქონელი და მომსახურება	965,7	1124,4	330,4	794,0	1890,5	425,5	1465,0
პროცენტი	26,2	20,9	0,0	20,9	26,2	0,0	26,2
სუბსიდიები	2 358,3	2819,2	0,0	2819,2	3516,0	0,0	3516,0
გრანტები	19,5	16,0	0,0	16,0	316,0	0,0	316,0
სოციალური უზრუნველყოფა	311,6	259,3	0,0	259,3	537,1	0,0	537,1
სხვა ხარჯები	163,4	120,8	0,0	120,8	392,9	231,6	161,4

6. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 7868,8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვროს 7873,8 ათასი ლარის ოდენობით

(თანხა ათას ლარებში)

პრ. კოდი	პრიორიტეტები/პროგრამები	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის
----------	-------------------------	-----------------	-----------------	-----------



				გეგმა
0100	მმართველობა და საეთო დანიშნულების ხარჯები	13,3	8,2	23,0
0101	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	13,3	8,2	23,0
0200	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	5004,9	2869,7	7562,1
0201	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4101,1	1043,9	3762,8
0202	წყლის სისტემების განვითარება	137,5	1022,3	1207,9
0204	მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარება	0,0	0,0	445,0
0205	მშენებლობა, შენობების და სახლების რეაბილიტაცია	4,4	4,9	312,7
0209	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები	276,2	148,4	310,9
0210	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	456,3	516,0	941,3
0211	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები	29,4	134,1	581,5
0300	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0,0	0,0	6,8
0301	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0,0	0,0	6,8
0400	განათლება	218,8	45,3	172,4
0401	სკოლამდელი დაწესებულებების ხელშეწყობა	38,1	12,7	10,0
0402	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	180,7	32,5	158,5
0405	საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია	0,0	0,0	3,9
0500	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	553,6	16,5	33,0
0501	სპორტის სფეროს განვითარება	16,4	3,0	22,5
0502	კულტურის სფეროს განვითარება	537,2	13,5	10,5
0600	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,7	4,2	76,5
0601	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	0,0	76,5
0602	სოციალური დაცვა	0,7	4,2	0,0
	სულ ჯამი	5 791,3	2943,9	7873,8

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვროს 5.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(თანხა ათას ლარებში)



დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
არაფინანსური აქტივების კლება	10,8	317,7	0,0	317,7	5,0	0,0	5,0
ძირითადი აქტივები	0,0	129,4	0,0	129,4	0,0	0,0	0,0
შენობა-ნაგებობები	0,0	129,4	0,0	129,4	0,0	0,0	0,0
არაწარმოებული აქტივები	10,8	188,3	0,0	188,3	5,0	0,0	5,0

7. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში, თანდართული რედაქციით:

(თანხა ათას ლარებში)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა		
				სულ	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე	სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები
7.0	მთლიანი ხარჯები	10903,8	8541,6	16883,2	10857,9	6025,2
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1764,9	1706,4	3038,3	3038,3	0,0
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1698,3	1645,0	2971,6	2971,6	0,0
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების	1698,3	1645,0	2925,6	2925,6	0,0



	საქმიანობის უზრუნველყოფა					
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	0,0	46,0	46,0	0.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	66,7	61,4	66,7	66,7	0.0
7.2	თავდაცვა	62,2	66,0	102,9	102,9	0.0
7.2.1	შეიარაღებული ძალები	62,2	66,0	102,9	102,9	0.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5 158,2	2074,8	7183,3	2093,8	5089,5
7.4.5	ტრანსპორტი	4 103,2	1058,6	4791,2	1664,5	3126,7
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4 103,2	1058,6	4791,2	1664,5	3126,7
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	1055,0	1016,2	2392,1	429,3	1962,8
7.5	გარემოს დაცვა	398,1	465,6	490,1	490,1	0.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	397,5	465,2	487,1	487,1	0.0
7.5.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	0,6	0,4	3,0	3,0	0.0
7.6	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	475,0	1470,4	2160,7	1568,1	592,5
7.6.1	ბინათმშენებლობა	7,1	4,9	409,1	317,5	91,6
7.6.3	წყალმომარაგება	376,6	1349,5	1387,6	1110,6	276,9
7.6.4	გარე განათება	72,8	116,0	140,0	140,0	0.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	18,5	0,0	224,1	0,0	224,1
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	84,1	101,7	192,7	122,3	70,4
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	84,1	101,7	116,2	116,2	0,0
7.7.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის სფეროში	0,0	0,0	76,5	6,1	70,4
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1396,9	1021,3	1127,6	1127,6	0,0



7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	202,2	209,6	267,5	267,5	0,0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1149,7	711,6	815,1	815,1	0,0
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	45,0	100,0	45,0	45,0	0,0
7.9	განათლება	1064,8	1110,6	1710,6	1437,9	272,8
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	957,6	968,9	1552,8	1409,5	143,3
7.9.2	ზოგადი განათლება	87,0	127,8	129,5	0,0	129,5
7.9.2.3	საშუალო ზოგადი განათლება	87,0	127,8	129,5	0,0	129,5
7.9.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	20,2	13,9	28,4	28,4	0,0
7.1	სოციალური დაცვა	499,5	524,8	877,0	877,0	0,0
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	499,5	524,8	877,0	877,0	0,0

“.

8. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-10 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საოპერაციო სალდო განისაზღვროს 3 109,4 ათასი ლარის, ხოლო მთლიანი სალდო -4 759,3 ათასი ლარის ოდენობით.

(თანხა ათას ლარებში)

დასახელება	2020 წლის ფაქტი		2021 წლის ფაქტი		2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე		სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები	საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე
საოპერაციო სალდო	5 731,7	4839,7	2918,0	1921,7	3109,4	3449,7	-340,3
მთლიანი სალდო	-48,7	2213,5	338,1	1875,4	-4759,3	-1918,4	-2840,9

“.

9. დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-13 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. „ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის“ პრიორიტეტისთვის განისაზღვროს – 9 344,0 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 0200)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების, ადმინისტრაციული შენობების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა დარგების განვითარების წინა პირობაა.

1.1 „საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების“ პროგრამისთვის განისაზღვროს 4 346,2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0201)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში იგეგმება დაზიანებული და ამორტიზირებული გზების, ხიდების და ტროტუარების მოვლა-შენახვის და რეაბილიტაციის ღონისძიებები.

1.1.1 „გზების მიმდინარე შეკეთება, მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამისთვის განისაზღვროს – 283,4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 01 01)

მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად მიმდინარეობს საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის სამუშაოები. სამუშაო მოიცავს მოასფალტებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას (ორმოული შეკეთება), არასასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას. ზამთარში გზებზე თოვლის საფარის გაწმენდას.

1.1.2 „გზების მშენებლობა, რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს – 4 062,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 01 02)

პროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის შიდა გზების მოასფალტების და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

1.2 „წყლის სისტემების განვითარების“ პროგრამისათვის განისაზღვროს - 1 611,6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების უზრუნველყოფას,

1.2.1 „სასმელი წყლით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს - 1 387,6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, წყლის დაქლორვის სამუშაოებს. წყლის ჭაბურღილების ელექტრო ენერჯის ხარჯის დაფინანსებას.

1.2.1.1 „წყლის სისტემების ექსპლოატაციის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 413,6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების მიმდინარე შეკეთებას, წყლის დაქლორვის სამუშაოებს. წყლის ჭაბურღილების ელექტრო ენერჯის ხარჯის დაფინანსებას.

1.2.1.1.1 „წყლის სისტემების მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 303,6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02 01 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, აგრეთვე იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის დადგენილი სტანდარტებისა და ხარისხის სასმელი წყლის მიწოდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე



წყალსადენის სისტემის მოვლა-შენახვის, აღდგენითი და სარემონტო სამუშაოები.

1.2.1.1.2 „წყლის სისტემების ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს – 110,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02 01 01 02),

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება წლის სისტემების ჭაბურღილების ელექტრო ენერგიის ხარჯი.

1.2.1.2 „წყლის სისტემების მშენებლობა, რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს – 974,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების სამშენებლო – სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

1.2.2 „კანალიზაციის სისტემების განვითარების“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 224,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02 02),

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, ახალი სისტემების მოწყობას.

1.2.2.1 „სანიაღვრე სისტემების მშენებლობა, რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 224,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02 02 02),

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე სისტემების კაპიტალურ შეკეთებას, ახალი სისტემების მოწყობას.

1.3 „გარე განათების“ პროგრამისათვის 140,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 03)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამის პერიოდში უსაფრთხო გადაადგილებისათვის და კომფორტული გარემოს შექმნისათვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართული გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება აღნიშნული სისტემის განვითარებისა და ექსპლოატაციისათვის საჭირო ხარჯები.

1.3.1 „გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 140,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 03 01),

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვას, მწყობრიდან გამოსული ნათურების შეცვლას, დაზიანებული და ამორტიზირებული ბოძების შეკეთებას, დაზიანებული სადენების აღდგენა-შეკეთებას. მოხმარებული ელექტრო ენერგიის ხარჯის დაფინანსებას.

1.3.1.1 „გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 30,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -02 03 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების სისტემის მოვლა-შენახვას, მწყობრიდან გამოსული ნათურების შეცვლას, დაზიანებული და ამორტიზირებული ბოძების შეკეთებას, დაზიანებული სადენების აღდგენა-შეკეთებას.

1.3.1.2 „გარე განათების ქსელის ელექტრო ენერგიით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 110,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -02 03 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის ელექტრო ენერგიის ხარჯი.

1.4 „მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების“ პროგრამისათვის 445,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 04)

პროგრამა ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალებების შეძენას.



1.5 „მშენებლობა, შენობების და სახლების რეაბილიტაცია“ პროგრამისთვის განისაზღვროს 409,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -02 05)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული და მრავალბინიანი შენობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მშენებლობის, კეთილმოწყობის და სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

1.6 „კეთილმოწყობის“ პროგრამისათვის განისაზღვროს 95,2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი – 0207)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული საზოგადოებრივი სივრცეების: სკვერების, პარკების, მუნიციპალიტეტის შესასვლელების მოვლა-შენახვას, კეთილმოწყობას.

1.6.1 „საზოგადოებრივი სივრცეების მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 7,8 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -020701)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული საზოგადოებრივი სივრცეების: სკვერების, პარკების, მუნიციპალიტეტის შესასვლელების მოვლა-შენახვას, კეთილმოწყობას.

1.6.2 „სადღესასწაულო ღონისძიებების“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 87,4 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 02 07 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფის, მათ შორის საახალწლო განათებების შექმნა-დამონტაჟების ღონისძიებებს.

1.7 „სარიტუალო ღონისძიებების“ პროგრამისათვის განისაზღვროს 7,2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -0208)

პროგრამა ითვალისწინებს დაბა თიანეთის სასაფლაოს მოვლა-შენახვის სამუშაოებს.

1.7.1 „სასაფლაოების მოვლა-შენახვის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 7,2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -02 08 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაბა თიანეთის სასაფლაოს მოვლა-შენახვის სამუშაოებს. მათ შორის დაზიანებული ღობის შეკეთების, გათიხვის, შეწამვლის და სხვა მგავსი ტიპის სამუშაოებს.

1.8 „სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯების“ პროგრამისათვის განისაზღვროს 320,9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -0209)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის, შესრულებული სამუშაოების საექსპერტო-საზედამხედველო მომსახურების ხარჯებს.

1.9 „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების“ პროგრამისათვის განისაზღვროს 1241.3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -0210)

პროგრამა ითვალისწინებს, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის სასმელი წყლის სისტემების, გამანაწილებელი ქსელის და სათავე-ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაციას, სარწყავი სისტემების, სანიაღვრე არხების, სოფლების შიდა და დამაკავშირებელი გზების, ხიდების და გადასასვლელების მიმდინარე შეკეთების და სარეაბილიტაციო სამუშაოებს, მოსაცდელების, სკვერების და სპორტული მოედნების მოწყობის სამუშაოებს.

1.10 „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების“ პროგრამისათვის განისაზღვროს 727,5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი -0211)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგად დაზიანებული



ინფრასტრუქტურის და მოსახლეობისთვის მიყენებული ზიანის აღდგენის ღონისძიებები.

2.0 „დასუფთავება და გარემოს დაცვის“ პრიორიტეტისათვის განისაზღვროს 490,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0300)

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და ეფექტიანობის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა მწვანე ნარგავების დარგვა და მოვლა-პატრონობა, გარემოს დასუფთავება.

2.1 „დასუფთავება და ნარჩენების გატანის“ პროგრამისათვის განისაზღვროს 487,1 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0301)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის და ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.

2.2 „მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარების“ პროგრამისათვის განისაზღვროს 3,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0302)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მწვანე ზონების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები (ხეების, გაზონების, ყვავილების დარგვა, არსებულის მოვლა-პატრონობა).

3. „განათლების“ პრიორიტეტისთვის განისაზღვროს 1 710.6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0400)

მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მომავალი თაობების განვითარებასა და განათლებას. ამ მიმართულებით ხორციელდება სკოლამდელი, ზოგადი და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა. ასევე განათლების სფეროში მოღვაწე ადამიანთა წახალისება სხვადასხვა ფორმით.

3.1 „სკოლამდელი დაწესებულებები ხელშეწყობის“ პროგრამისთვის განისაზღვროს 1 394,3 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0401)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ თიანეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა ბაღების გაერთიანება. მუნიციპალიტეტში 16 საბავშვო ბაღია. სკოლამდელ განათლებას იღებს 302 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს

3.2 „განათლების ღონისძიებების“ პროგრამისთვის განისაზღვროს 28,4 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0403)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების ხელშეწყობას. ამ პროექტებში გამარჯვებულთა წახალისებას ფულადი ჯილდოთი ან/და ფასიანი საჩუქრებით. წარმატებული სკოლის მოსწავლეების, სტუდენტების და საგანმანათლებლო სფეროში ღვაწლმოსილი პირების წახალისებას ფულადი ჯილდოთი, სხვადასხვა პრიზითა და ფასიანი საჩუქრებით.

3.3 „სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობის“ პროგრამისთვის განისაზღვროს 158,5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0402)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში საბავშვო ბაღების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

3.4 „საჯარო სკოლების ხელშეწყობის“ პროგრამისთვის განისაზღვროს 125.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0404)

პროგრამა ითვალისწინებს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფის ღონისძიებების.

3.5 „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაციის“ პროგრამისთვის



განისაზღვროს 3.9 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 0405)

პროგრამა ითვალისწინებს, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებს.

4. „კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების“ პრიორიტეტისთვის განისაზღვროს 1127,6 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 0500)

სპორტის, ახალგაზრდობისა და კულტურული მიმართულებების მხარდაჭერა მჭიდროდაა დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასთან. ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში. ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

4.1.„სპორტის სფეროს განვითარების“ პროგრამისთვის განისაზღვროს 267,5 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 0501)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სპორტის სახეობების პოპულარიზაციას. სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნას. მუნიციპალური, რეგიონული, რესპუბლიკური და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეების მიღებას.

4.1.1.„ სპორტული დაწესებულებები ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისთვის განისაზღვროს 262,5 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 050101)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული კლუბის „თიანეთის“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სპორტსმენების სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. წარმატებული სპორტსმენების და ტრენერების წახალისება. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სპორტის 13 წრე: ჭადრაკის, ფეხბურთის, ჭიდაობის, ძიუდოს, ქართული ჭიდაობის, რაგბის, ფრენბურთის, კინზოქსინგის. ტაეკვანდოს, ძალოსნობის, ჩოგბურთის, კალათბურთისა და კრივის წრეები.

4.1.2 „სპორტული ღონისძიებების“ ქვეპროგრამისთვის განისაზღვროს 5,0 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 050102)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენების ტრანსპორტირებაში დახმარების გაწევა.

4.2.„კულტურის სფეროს განვითარების“ პროგრამისათვის განისაზღვროს 860,1 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 0502)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში კულტურული განვითარების პროცესის ხელშეწყობის ღონისძიებები. ამ მიზნით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ხვადასხვა ანსამბლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, აგრეთვე ტარდება კულტურული ღონისძიებები. ჩვენი მიზანია შევინარჩუნოთ არსებული მდგომარეობა და ხელი შევუწყოთ მის მომავალ განვითარებას. ახალი ინიციატივების გამოვლენას, რომლის მეშვეობითაც გაიზრდება მოსახლეობის ინტერესი და ჩართულობა.

4.2.1.„კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 777,4 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის მიერ კულტურის სფეროში დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსებას.



4.2.1.1 „სამუსიკო სკოლის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 72,0 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ნიკო ქუმსიაშვილი სახელობის სამუსიკო სკოლა“. სადაც მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს მიმართულებით. სკოლაში ირიცხება 41 მოსწავლე.

4.2.1.2 „ბიბლიოთეკების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 140,5 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება“, რომლის შემადგენლობაში შედის ერთი მთავარი და 16 სოფლის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკები ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს. წლის განმავლობაში ტარდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები და თემატური გამოფენები. შემეცნებითი შეხვედრები სკოლებში და ბაღებში,

4.2.1.3 „მუზეუმების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 110,1 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანების“ დაფინანსებას. გაერთიანებაში შედის მხარეთმცოდნეობის და მირზა გელოვანის მემორიალური სახლ-მუზეუმი. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სამუზეუმო ფონდების განახლება, მუზეუმებზე არსებული ინფორმაციის შევსება, განახლება და სისტემატიზაცია. რაც ხელს უწყობს ტრადიციული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ტურისტების გათვითცნობიერებას ადგილობრივ კულტურასთან.

4.2.1.4 „კულტურის ცენტრის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 409,3 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „თიანეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, კულტურის ცენტრის შემადგენლობაში შედის კულტურის სახლი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი და ვაჟა-ფშაველას სახელობის კულტურისა და დასვენების პარკი. სულ ფუნქციონირებს 12 წრე: ქორეოგრაფიული წრეები, ფოლკლორული და საესტრადო სიმღერების, გარმონის დაკვრის, სახვითი ხელოვნების, დრამატული, ქსოვის, დიზაინის და რუსული ენის წრეები. ცენტრი ორგანიზებას უწევს ფესტივალების, საქველმოქმედო კონცერტების, საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანების საღამოების ჩატარებას.

4.2.1.5 „საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 45,5 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს გაზეთი „თიანეთის მომავალი“-ს გამოცემისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას. გაზეთი გამოიცემა თვეში ერთხელ. გაზეთში განთავსებულია ინფორმაცია თიანეთის მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ. გაზეთი ასევე პოპულარიზაციას უწევს ადგილობრივ სპორტსმენებს და შემოქმედ ადამიანებს.

4.2.2. „კულტურული ღონისძიებების“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 37,7 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ეროვნული თუ ადგილობრივი დღესასწაულების ორგანიზებას და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობას. შემოქმედებითი კოლექტივების და ინდივიდუალური შემსრულებლების, ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობას. ხელოვნების სკოლების და წრეების მოსწავლეთა შემოქმედებითი საღამოების მოწყობას. მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების დაცვა-შენარჩუნებას. კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, შემოქმედებითი ჯგუფების წახალისებას.

4.2.3 „რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამისათვის განისაზღვროს 45,0 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თიანეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია-მონასტრების ფინანსურ მხარდაჭერას სამშენებლო სამუშაოებისა და კომუნალური ხარჯების



დაფარვაში.

5. „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის“ პრიორიტეტისთვის განისაზღვროს 1069,7 ათასი. ლარი (პროგრამული კოდი 06 00)

